ხელშეკრულება№ 53
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ცაგერი 7 მარტი 2016წელი

ერთის მხრივ, **ცაგერის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში – შემსყიდველი), მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის, გამგებლის მ/შ კარლო ჩაკვეტაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „ნაზიბროლა თუთისანი" (შემდგომში – მიმწოდებელი), ნაზიბროლა თუთისანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანია

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სახსრებით (01 01) **საფეიქრო ნაწარმი და დაკავშირებული ნივთები** (კლასიფიკატორის კოდი 19200000); ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა (კლასიფიკატორის კოდი 31200000); აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები (კლასიფიკატორის კოდი 31400000); გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები (კლასიფიკატორის კოდი 31500000); პირადი ჰიგიენის საშუალებები (კლასიფიკატორის კოდი 33700000); ავეჯის აქსესუარები (კლასიფიკატორის კოდი 39200000); საოჯახო ტექნიკა (კლასიფიკატორის კოდი 39700000); საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია (კლასიფიკატორის კოდი 39800000); წებოვანი ლენტები (კლასიფიკატორის კოდი 44424200); ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, (კლასიფიკატორის კოდი 44500000); სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ ს' „ ქვეპუნქტის საფუძველზეწინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.**

2.შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია **ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის სამეურნეო საქონლის შესყიდვა.**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება **ლარებში**

3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **საფეიქრო ნაწარმი და დაკავშირებული ნივთები** (კლასიფიკატორის კოდი 19200000)-**300 (სამასი)** ლარი; ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა (კლასიფიკატორის კოდი 31200000)-**300 (სამასი)** ლარი; აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები(კლასიფიკატორის კოდი 31400000)-**100(ასი)** ლარი; გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები (კლასიფიკატორის კოდი 31500000)-**100(ასი)** ლარი; პირადი ჰიგიენის საშუალებები(კლასიფიკატორის კოდი 33700000)-**300 (სამასი)** ლარი; ავეჯის აქსესუარები (კლასიფიკატორის კოდი 39200000)-**200(ორასი)** ლარი; საოჯახო ტექნიკა (კლასიფიკატორის კოდი 39700000) -**350 (სამასორმოცდაათი)** ლარი; საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია (კლასიფიკატორის კოდი 39800000)- **600(ექვსასი)** ლარი; წებოვანი ლენტები (კლასიფიკატორის კოდი 44424200)-**100 (ასი)** ლარი;ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, (კლასიფიკატორის კოდი 44500000)- **150 (ასორმოცდაათი)** ლარი;

3.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **2500 (ორიათასხუთასი)** ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **ეტაპობრივად 2016 წლის 31 დეკემბრამდე.**

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **ქ. ცაგერი. კოსტავას ქ. №**

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც

დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ სამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება **უნაღდო ანგარიშსწორებით** 7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება **ეროვნულ ვალუტაში**

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს **10 (ათი) საბანკო დღის ვადაში**.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან **ეტაპობრივად 2016 წლის 31 დეკემბრამდე.**
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2017 წლის 31 იანვრამდე.**

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამხედრო მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ ხელშეკრულების ვალდებულების თანხამ ან იაფლობითმა შეუსრულებლობის პერიოდი გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **ცაგერის მუნიციპალაიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი – გოჩა მეგრელი; მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარი სპეციალისტი – ზაირა ბენდელიანი;**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ცაგერის მუნიციპალიტეტი

მისამართი

ქ. ცაგერი რუსთაველის ქუჩა №64

სახელმწიფო ხაზინა

ბ.კ.TRESGE22

სახაზინო კოდი: 707017021

ს/კოდი: 242 574 460

მიმწოდებელი:

ი/მ „ნაზიბროლა თუთისანი“

მისამართი

ქ. ცაგერი. სოფ.ჩხუტელი

ს/ს „ლიბერთი ბანკი“

ბ/კოდი: LBRTGE22

ა/ა № GE66LB0112114910230000

ს/კოდი: 49001004166

17. მხარეთა ხელმოწერები

ცაგერის მუნიციპალიტეტის

გამგებლის პირველი მოადგილე,

გამგებლის მ/შ:

კ. ჩაკვეტაძე

ი/მ „ნაზიბროლა თუთისანი“

ნ. თუთისანი